

# შპს „მარჯანი 5“

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელ კვალითი

სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოს  
ექსპლუატაციის პირობების ცვლილების  
სკრინინგის განაცხადი

შპს „მარჯანი 5“  
დირექტორი: ი. სამადაშვილი



ზესტაფონი 2023

1. შესავალი.....	3
2. საწარმოს განთავსების ტერიტორია .....	4
3. ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის შესახებ.....	7
3.1. მუშაობის რეჟიმი და მწარმოებლურობა .....	10
3.2. გამოყენებული ნედლეული.....	10
3.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები.....	10
3.4. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლები.....	12
3.4.1. წყალმომარაგება .....	12
3.4.2. ჩამდინარე წყლები .....	12
3.5. ნარჩენების მართვა.....	13
4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ და ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას შორის არსებული შეუსაბამობები .....	13
110 კვტ-იანი სატრანსფორმატორო ქვესადგური.....	18
5. ექსპლუატაციის პირობების შეცვლით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	30
5.1. ზემომედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე .....	30
5.2. ზემოქმედება ხმაურის წარმოქმნა-გავრცელებაზე.....	31
5.3. ზემოქმედება წყლის რესურსებზე .....	32
5.4. ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების რისკები .....	33
5.5. ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედება.....	34
5.6. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება .....	34
5.7. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.....	35
5.8. ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე .....	36
5.9. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება .....	36
5.10. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.....	36
5.11. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე .....	37
5.12. კუმულაციური ზემოქმედება .....	37
5.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	37
და ნ ა რ თ ი .....	38
დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან .....	39
დანართი 2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება .....	42
დანართი 3. ადმინისტრაციული მიწერილობა .....	49
დანართი 4. ანძების და ქვესადგურის მოწყობის ნებართვები .....	57
დანართი 5. ნებართვა(ტექ. პირობა) ქსელში ჩართვაზე .....	63
დანართი 6. პერსონალის სწავლება .....	66
დანართი 7. რისკების შეფასება .....	68

# 1. შესავალი

შპს „მარჯანი 5“-ის სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმო განთავსებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. კვალითის ტერიტორიაზე. საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტმა 2019 წელს გაიარა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურები.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის N2-721 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დანართი 2.).

საწარმოს მოწყობის სამუშაოები დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2022 წელს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 სექტემბრის NDES720000265 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „მარჯანი 5“-ის კუთვნილი სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის N2-721 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს საქმიანობა არ ხორციელდება გზშ-ს ანგარიშში განხილული სქემის შესაბამისად. კერძოდ:

- წიდის გაციება ციცხვის ნაცვლად ხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორმოში, რაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად მიიჩნევა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად;

- საწარმოს ტერიტორიაზე, ელექტრომომარაგების მიზნით განთავსებული 110 კვტ-იანი ტრანსფორმატორი არ არის განხილული გზშ-ს ანგარიშში. 110 კვტ ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნული დარღვევებზე იმსჯელა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ. სასამართლოს 2022 წლის 15 ნოემბრის N4/551-2022 დადგენილებით, კომპანია ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და შეეფარდა ადმინისტრაციული სახლელი.

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული იქნა 2023 წლის 04 აპრილის N003181 ადმინისტრაციული მიწერილობა (დანართი 3.), რომლითაც შპს „მარჯანი 5“-ს დაევალა სკრინინგის დაგაწვეტილების მიღების მიზნით, ერთი თვის ვადაში, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

ზემოაღნიშნული ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს საწარმოს წარმადობის, გამოყენებული ნედლეულისა და მასალების, და სხვა პარამეტრების ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

<b>საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია</b>	<b>შპს „მარჯანი 5“</b>
კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვალითი
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვალითი
საიდენტიფიკაციო კოდი	200168282
საქმიანობის სახე	სილიკომანგანუმის ჩამოსხმა
საკონტაქტო პირი	იოსებ სამადაშვილი
ელექტრონული ფოსტა	marjani5ltd@gmail.com
საკონტაქტო ტელეფონი	+995 595 55 19 77
<b>საკონსულტაციო კომპანია:</b>	<b>შპს „სამნი“</b>
დირექტორი თეიმურაზ კეპულაძე	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	+995 591 15 72 72
ელექტრონული ფოსტა	samni2011@gmail.com

## 2. საწარმოს განთავსების ტერიტორია

შპს „მარჯანი 5“-ს მეტალურგიული საწარმოს ტერიტორია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვალითში (კაშხლის მიმდებარედ, ს/კ: 32.12.33.180 (დანართი 1.)), მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმო განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული შპს „ეკომეტალი“-საგან 25 წლის ვადით.


საწარმოს ტერიტორიის კუთხეთა წვეროების ნომერაცია მოცემულია ნახაზი N2.1.-ზე, ხოლო GPS კოორდინატები 2.1 ცხრილში:

ცხრილი 2.1

წერტილის N	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	335720.4	4664332.5
2	335776.1	46644371.7
3	335798.6	4664157.5
4	335761.8	4664149.2
5	335737.5	4664416.0

შპს „მარჯანი 5“-ს საწარმო განთავსდა ტერიტორიაზე, სადაც ადრე სამშენებლო და საწარმოო ნარჩენების ნაგავსაყრელი იყო მოწყობილი.

საწარმოს ტერიტორიას ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწები, დასავლეთით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები, სამხრეთით მდ. ყვირილა (დაშორება 20-25 მ) და მდინარის მეორე სანაპიროზე სოფელ კვალითის დასახლება, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები, სამხრეთით მდ. ყვირილა (დაშორება 20-25 მ) და მდინარის მეორე სანაპიროზე სოფელ კვალითის დასახლება, ხოლო აღმოსავლეთით შპს „ეკომეტალი“-ს საწარმო. დაახლოებით 520 მეტრში მდებარეობს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის შენობა.



ნახაზი 2.1

შპს „მარჯანი 5“-ს და შპს „ეკომეტალი“-ს საწარმოების ტერიტორია სამი მხრიდან შემოღობილია 3 მეტრის სიმაღლის ბეტონის ანაკრები ფილებით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთსართულიანი შენობა, რომელიც თავდაპირველად საწყობად გამოიყენებოდა, ამჟამად კი დაგემილია შენობაში წარმოებისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ტექნიკა-დანადგარების მოწყობა.


უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საკადასტრო საზღვრიდან 215 მეტრში (პირდაპირი მანძილი). საწარმოს ტერიტორია ზესტაფონის ცენტრიდან დაშორებულია დაახლოებით 2.5 კმ-თ. ტერიტორიის განთავსება მოცემულია ნახაზზე 2.2. ხოლო საწარმოს გენ-გეგმა ნახაზზე 2.3.



ნახაზი 2.2. ობიექტის ტერიტორიის განთავსების სიტუაციური სქემა



ნახაზი 2.3. საწარმოს გენ-გეგმა



**ექსპლიკაცია**

1. საწარმოს შენობა -95.3x37.6x22.0 (h) მ.
2. ელ.ღუმელის საამქრო
3. მადანთერმული ღუმელი-1 ერთ.  $\Phi$ -5.312 მ.
4. ქვესადგური
5. ღუმელის სატრანსფორმატორო
6. საოპერატორო
7. ელ.ხიდურა ამწე- 3 ერთ. 15/5 ტ.
8. ნედლეულის საწყობი
9. მზა პროდუქციის საწყობი
10. კაზმის მოსამზადებელი ბუნკერები
11. ღუმელისათვის კაზმის ჩასაყრელი ბუნკერები
12. წიდის გასატანი ესკალატორი
13. აირგამწმენდი ნაგებობა 13.7x3.7x13.0 (h) მ.
14. გამაგრილებელი აუზი 15.0x3.5x3.0 (h) მ.
15. საკვამლე მილი- 1 ერთ.  $\Phi$ =1.0, H=26.0 მ.
16. ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო შენობა - 16.4x6.4x3.80 (h) მ.
17. ცალკე მდგომი WC-2 ადგ.-3.0x3.0x2.80 (h) მ.
18. ფეკალური ორმო- 5.80x3.30x2.90 (h) მ.
19. წყლის სადაწნეო ავზი-16 ტ.
20. არტეზიული ჭა- $\Phi$ -1.0 მ.
21. გამშვები პუნქტი
22. ღობე
23. გასაწევი ჭიშკარი
24. შიდა გზა
25. ავტოსადგომი
26. გამწვანება



### 3. ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის შესახებ

შპს „მარჯანი 5“-ს მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული და მოწყობილია სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმო. საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდა შემდეგი ინფრასტრუქტურა:

1. არსებული საწარმოო შენობაში (95.3x37.6x22.0 ეტრი), მოწყობილია ელექტროლუმელის საამქრო, ქვესადგური, ღუმელის სატრანსფორმატორო, საოპერატორო, ნედლეულის საწყობი, მზა პროდუქციის საწყობი, კაზმის მოსამზადებელი და ღუმელში ჩასაყრელი ბუნკერები, წიდის გასატანი ესკალატორი;
2. აირგამწმენდი ნაგებობა-13.7x3.7x13.0 მეტრი;
3. წყლის გამაგრილებელი ავზი (საშხეფარი)-15.0x3.5 მეტრი, სიღრმე 3.0 მეტრი;
4. ცალკე მდგომი სანკვანძი -2 ადგ.-3.0x3.0x2.80 (h) მეტრი;

და სხვა ნაგებობები

#### ტექნოლოგიური სქემა

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი გულისმობს სილიკომანგანუმის ჩამოსხმას, რომლის წლიური წარმადობა შეადგენს 7920 ტონას. საწარმოს ტექნოლოგიური სქემა მოცემულია 3.1. ნახაზზე. ძირითადი საამქროს შემადგენლობაში შედის:

- ✓ საკაზმე განყოფილება;
- ✓ სადნობი განყოფილება;
- ✓ მზა პროდუქციის საწყობი;

#### საკაზმე განყოფილება

საწარმოში შემოტანილი ყველა სახის მანგანუმშემცველი ნედლეული, აგრეთვე კოქსწვრილა, კვარციტი, კირქვა, რკინის ხენჯი (მადანი), ელექტროდები, საამქროში შემოიზიდება რკინიგზის როდონებით და საავტომობილო ტრანსპორტით. ხიდურა ამწეზე დაკიდებული გრეიფერით, რომლის მოცულობა 3 მ<sup>3</sup>-ია მასალები იყრება 12 მ<sup>3</sup> მოცულობის ბუნკერებში (8 ცალი). თითოეული ბუნკერის ქვეშ დაყენებულია მბრუნავი მკვებავი და ავტომატური დოზატორი. კაზმის კომპონენტების წონითი თანაფარდობის დაცვა ხორციელდება მართვის პულტიდან.

დოზატორების საშუალებით ხდება მასალების მიწოდება შემკრებ კონვეიერზე. მასალები შემკრებიდან იყრება მკვებავ კონტეინერში, ხიდურა ამწის საშუალებით მკვებავი კონტეინერიდან მასალა მიეწოდება მკვებავ ბუნკერს, საიდანაც მილსადენებით იყრება მადანთერმულ ღუმელში, რომლის მოცულობა 17 მ<sup>3</sup>-ია.

#### სადნობი განყოფილება

დოზირებული კაზმი მიეწოდება კონვეიერზე, საიდანაც კაზმი იყრება სპეციალურ კონტეინერში. ხიდურა ამწის საშუალებით კაზმი იყრება ღუმელის თავზე განლაგებულ მკვებავ ბუნკერებში და მილსადენების საშუალებით მიეწოდება ღუმელს.

ღუმელზე დაყენებულია 7 ბუნკერი, საიდანაც კაზმი თვითჩამოცლით მიეწოდება ღუმელის აბაზანაში ელექტროდებს შორის. კაზმის სვლა მიმდინარეობს მისი აბაზანაში გადნობის შესაბამისად. ნორმალური მუშაობის პირობებში აუცილებელია, რომ ბუნკერები მუდმივად იყოს შევსებული. დასაშვებია ბუნკერებში კაზმის დონის დაწევა მისი მთლიანი მოცულობის მესამედამდე.



ღუმელის უკან დამონტაჟებულია ტრანსფორმატორი, რომელსაც აქვს სპეციალური კამერა სამართავი პულტისათვის, სადაც მოთავსებულია ელექტროსაზომი ხელსაწყოები და დაცვის აპარატურა. საჩამოსხმო მალი განკუთვნილია ლითონის გამოშვებისათვის და ჩამოსხმისათვის. საჩამოსხმო მალში იდგმება ციციხეები ლითონისა და წიდისათვის, აგრეთვე საჩამოსხმო მანქანა.

დნობის პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად 550 მმ დიამეტრის გრაფიტის ელექტროდებით, რომლებიც ღრმადაა ჩამჯდარი კაზმში, რაც უზრუნველყოფს დნობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. დნობის პროცესის მართვა ხორციელდება მართვის პულტიდან აქვე დამონტაჟებული საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების ჩვენებების გათვალისწინებით.

გამდნარი ლითონის და წიდის გამოშვება ორ საათიანი ინტერვალით ხდება, გამოსაშვები ღარიტ ჩადის ციციხეში და წიდის ციციხეში. გამდნარი ლითონი ისხმება ლითონის ჩასასხმელ ჩანებში.

გამოსაშვები ხვრელის გახსნა გათვალისწინებულია გადამჭრელი ელექტრული აპარატის დახმარებით. ნადნობისა და წიდის მიღება ხდება კასკადურად განლაგებული ფოლადის 1.3 მ<sup>3</sup> მოცულობის საბრუნ ციციხეებში.

შენადნობის ჩამოსხმა წარმოებს სპეციალურ თუჯის ჩანებში. ლითონი გაციების შემდეგ იმტვრევა, იტვირთება სპეციალურ ტომრებში (1.5 ან/და 2 ტ) - „ბიგ-ბეგებში“ და ინახება მზა პროდუქციის საწყობში. ამავე „ბიგ-ბეგებით“ მზა პროდუქცია საწყობიდან მიეწოდება ელექტროურიკის ან ავტომტვირთავების მეშვეობით რკინიგზის რონოდებს ან სატვირთო ავტომანქანებს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

წიდის გაციება ნავარაუდევია სპეციალურ ციციხეებში. გაციებული წიდის დამსხვრევა ადგილზე არ მოხდება.გაციების შემდეგ წიდა თვითმცლელით გაიტანება ეკომეტალის ტერიტორიაზე.


### **აირგამწმენდი სისტემა**

ღუმელიდან, საჩამოსხმო მანქანებიდან და საკაზმე მასალების გადაყრის კვანძებიდან გაწოვილი დაბინძურებული აირების გაწმენდა ხორციელდება მშრალი გაწმენდით. აირების გაწმენდის ხარისხი 99.8%-ია.

ღუმელის და აირგამწმენდის სისტემა ითვალისწინებს ბლოკირების გამოყენებას, რაც გამორიცხავს ღუმელების მუშაობის შესაძლებლობას გამწმენდი მოწყობილობების უმოქმედობის შემთხვევაში.

გაფილტვრისა და გაწმენდის შემდეგ ნამწვი აირები 26 მ-იანი მილის საშუალებით გაიფრქვევა ატმოსფეროში.

ნახაზი 3.1. საწარმოს ტექნოლოგიური სქემა



### 3.1. მუშაობის რეჟიმი და მწარმოებლურობა

საწარმოს მუშაობის რეჟიმია 330 დღე წელიწადში, 24 საათიანი სამუშაო დღით. ღუმელის სამუშაო საათები შეადგენს წელიწადში 7920 სთ-ს.

მადანთერმული ღუმელის საპროექტო წარმადობა 1 ტ/სთ-ია, შესაბამისად საწარმოს მწარმოებლურობა შეადგენს 7920 ტონას, წელიწადში.

საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 100 კაცს, რომლებიც მუშაობენ სამცვლიანი რეჟიმით, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

### 3.2. გამოყენებული ნედლეული

საწარმოსთვის საჭირო ძირითადი მასალებია: მანგანუმის მადანი, კოქსწვრილა, კვარციტი, რკინის ხენჯი (მადანი), გრაფიტის ელექტროდები.

მანგანუმის მადნის შექმნა ხდება ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნიდან (ჭიათურის მანგანუმის მადანი), კომპანიას კოქსწვრილა შემოაქვს უკრაინიდან და თურქეთიდან, გრაფიტის ელექტროდი - უკრაინიდან და ჩინეთიდან, კვარციტი კაზრეთიდან, კირქვა-თერჯოლიდან, ხოლო რკინის ნედლეული -რუსთავიდან. კვარცის ქვიშა საჩხერედან მოაქვთ, ასევე, გურიიდანაც. კვარცის მიწას ციცხვების ამოსაშენებლად იყენებენ.

წარმოებული პროდუქციის მცირე რაოდენობა ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, ხოლო ძირითადი ნაწილი გადის საზღვარგარეთ - ირანში და თურქეთში.

საკაზმე მასალების და ელექტროენერგიის ხარჯი 1 ტ ლითონზე მოცემულია ცხრილი 3.1.-ში.

**ცხრილი 3.1.** საკაზმე მასალების და ელ/ენერგიის ხარჯი 1 ტონა ლითონზე

№	მასალის დასახელება	ხარჯი 1ტ სილიკომანგანუმზე, კგ/ტ
		100% მადანი
1	მანგანუმის მადანი, Mn-40%	2200
2	კოქსწვრილა	500
3	კვარციტი	450
4	კირქვა	200
5	რკინის ხენჯი (მადანი)	100
6	გრაფიტის ელექტროდი	30
7	ელ. ენერგია	4500-4800 კვტ.

### 3.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები


საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებათა დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოს ტექნოლოგიური ხაზი და მადანთერმული ღუმელი.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროდ განხილულია მადანთერმული ღუმელის მილი (გ-1 წყარო), რომელიც წარმოადგენს გაფრქვევის ორგანიზებულ, წერტილოვან წყაროს. არაორგანიზებული, ხაზობრივი გაფრქვევის წყაროს წარმოადგენენ საწარმოო შენობის ღიობები (გაფრქვევის გ-2 წყარო), რომელშიც გაერთიანებულია გამოყოფის ყველა წყარო ნედლეულის დასაწყობებიდან მზა პროდუქციის ჩამოსხმის და განთავსების ჩათვლით.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების, გამოყენებული ნედლეულის, მიღებული პროდუქციისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული იქნა “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი”, რომელიც შეთანხმებულია სამინისტოსთან 2019 წლის 15 აპრილს.

ჩატარებული გაზნევის გაანგარიშების შედეგების მიხედვით, მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში (დასახლებული პუნქტის და 500 მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე) არ აღემატება ნორმატიულ მნიშვნელობებს.

მანგანუმის და მისი ნაერთების მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში მოცემულია ნახაზზე 3.2. ხოლო უახლოეს მოსახლესთან მავნე ნივთიერებების მოსალოდნელი კონცენტრაციები ცხრილში 3.1.



ნივთიერება: 143 მანგანუმი და მისი ნაერთების მაქსიმალური კონცენტრაციები უახლოეს დასახლებასთან (წერტ. N1-N3) და ნორმირებული 500მ. ზონის საზღვარზე (წერტ.N4-N7)

მაგნე ნივთიერების დასახელება	მაგნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის წილი ობიექტიდან	
	უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე	500 მ რადიუსის საზღვარზე
მანგანუმი და მისი ნაერთები	0,68	0,60
აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0,30	0,30
გოგირდის დიოქსიდი	0,11	0,11
ნახშირბადის ოქსიდი	0,12	0,12
შეწონილი ნაწილაკები	0,74	0,74
ჯამური ზემოქმედების ჯგუფი: 6204 აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი	0,26	0,26

### 3.4. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლები

#### 3.4.1. წყალმომარაგება

შპს „მარჯანი 5“-ს სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით.

საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე, სასმელ-სამეურნეო წყლით უზრუნველყოფა ხდება ქ. ზესტაფონის წყალმომარაგების ქსელიდან აღებული წყლით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარჯი დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე და საწარმოს მუშაობის რეჟიმზე.

წყალაღების ქსელში დამონტაჟებულია მრიცხველი, რომლის შესაბამისადაც ხდება წყლის მომწოდებელ კომპანიასთან ანგარიშსწორება.

საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება ღუმელისა და ტრანსფორმატორის გაგრილების სისტემაში. საწარმოო მიზნით წყალაღებისათვის მოწყობილია მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა, რომელზედაც აღებულია წიაღისეულის ლიცენზია N10001316. 27.02.2020წ.

#### 3.4.2. ჩამდინარე წყლები

საწარმოს სამეურნეო-ფეკალური წყლების შესაგროვებლად მოწყობილია 55.5 მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმო. ორმოს მომსახურება ხდება, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოო პროცესებში (გაგრილების სისტემაში) გამოყენებული წყალი ჩართულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში.




### 3.5. ნარჩენების მართვა

კომპანიამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის მოთხოვნებისა და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-სა და ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის შესაბამისად შეიმუშავა ნარჩენების მართვის გეგმა სამი წლის ვადით (2022წ. – 2024 წ), რომელიც 2022 წელს შეთანხმებულია სამინისტროსთან და მის საფუძველზე ხორციელდება ნარჩენების მართვა. მოწყობილია სახიფათო ნარჩენების სათავსო, რომელშიც განთავსებულია მარკირებული კონტეინერები.

### 4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ და ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას შორის არსებული შეუსაბამობები

შპს „მარჯანი 5“-ის სილიკომანგანუმის საწარმო განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე 32.12.33.180. ტერიტორიის შუა ნაწილში მოწყობილია ძირითადი საწარმოო კორპუსი. ჩრდილოეთ ნაწილში 110 კვტ-იანი სატრანსფორმატორო ქვესადგური, სამხრეთ ნაწილში საწარმოო დანიშნულების მოედანი. შენობის სამხრეთით და აღმოსავლეთით მოწყობილია ტერიტორიაზე გადასადგილებელი შიდა გზები. მთლიანი ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ღობით.

ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობები განთავსებულია არსებულ შენობაში, რომელიც ამენებულია ტერიტორიის შუა ნაწილში (სურათი 4.1.).



სურათი 4.1.

შენობის ჩრდილოეთ ნაწილში დამონტაჟებულია მადანთერმული ღუმელი, შუა ნაწილში საკაზმე ბუნკერები, შენობის კედლებთან (დასავლეთით და სამხრეთით) ნედლეულის

(მანგანუმის შემცველი) სამარაგო ბაქნები (სურათი 4.2.). ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს, საწარმოს ეზოში შიდა გზასა და ლობეს შორის მოწყობილია ნედლეულის (კვარციტის, კოქსის, კირქვის) სამარაგო ბაქნები (სურათი 4.3.).



სურათი 4.2.



სურათი 4.3.

შენობის სამხრეთ ნაწილში მოწყობილია წილის გაციების ორმო, რომელშიც წიდა ისხმება ციცხვის ამობრუნებით (სურათი 4.4.). წიდა ცივდება ბუნებრივად. გაცივების შემდეგ იყრება წილის დროებით ბაქანზე (სურათი 4.5.), საიდანაც გაიზიდება ეკომეტალის ტერიტორიაზე.



სურათი 4.3.




სურათი 4.4.

გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული იყო წილის გაცივება ციციხეებში და გაციების შემდეგ ციციხვის ამობრუნებით განთავსება ბაქანზე.

ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში მოწყობილია ღია სატრანსფორმატორო ქვესადგური, სადაც განთავსებულია 110/10 კვ-იანი ძალოვანი ტრანსფორმატორი. ქვესადგურს დენი მიეწოდება შპს „მეტალლაინი“-ს ქვესადგურიდან, სახელმწიფო ელექტროსისტემების მიერ გაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე. ქვესადგურის მოწყობა განხორციელდა სათანადო საპროექტო და სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისად (დანართი 4), საწარმოს პარალელურად, თუმცა მისი მოწყობა არ არის განხილული გზშ-ს ანგარიშში.

საწარმოს გენ-გეგმა მოცემულია ნახაზზე 4.1. ხოლო ექსპლუატაციის შეცვლილი პირობებით გენ-გეგმა - ექსპლიკაციით ნახაზზე 4.2.






### ქვესვლიყაყიყი

1. სანყარყი უწყობყ - 85.0X37.6X22.0 (მ) მ.
2. უღ, დუბუღის სანყარყ
3. გულყნუბრყიუღი დუბუღი - 1 მყლი,  $\Phi$ -5.312 მ.
4. ყუბსულგყრყ
5. დუბუღის სპრყნსუბრყყბრყ
6. სუბუბრყბრყ
7. უღ, სოღუბრყ ყუბუ - 1 მყლი, 15/5 მგ.
8. გულყნუღის სანყარყ
9. მუბ ყრყღუბრყის სანყარყ
10. ყუბრყის უბნყუბრყუბრყი გუბყყყბრყ
11. დუბუღისუბრყის ყუბრყის ყანყარული გუბყყყბრყ.
12. ტყრყბრყ. უწყსუბრყღი.
13. ბრყბრყყბრყი სანყარყ 13.7X3.7X13.0 (მ) მ.
14. გუბყბრყიღუბრყი გუბრყი 15.0X3.5X3.0 (მ) მ.
15. სუბუბრყი მოღი - 1 მყლი,  $\Phi$ =1.0, H=26.0 მ.
16. ყრყბრყიული მუ -  $\Phi$ =1.0 მ.
17. გუბრყბრყი უბნყ
18. ლოგუ
19. გულყნუღი ყრყყყ
20. მუბ მუბ
21. ყრყბრყბრყი
22. გუბრყყბრყ
23. ს.ყ.ყ. სუბუბრყი

### გუნ-გუგმა

#### უქსპლიკაცია

- 1.საწარმოო შენობა
- 2.ელღუმელის საამქრო
- 3.მადანთერმული ღუმელი
- 4.ქვესადგური;
- 5.ღუმელის სატრანსფორმატორო;
- 6.საოპერატორო;
- 7.ხიდურა ამწე;
- 8.კაზმის მოსამზადებელი ბუნკერები
- 9.ღუმელისათვის კაზმის მიწოდების ბუნკე
- 10.აირგამწმენდი;
- 11.გამაგრილებელი ავზი;
- 12.საკვამლე მილი;
- 13.ნედლეულის საწყობი;
- 14.მზა პროდუქციის საწყობი;
- 15.მანგანუმის მადნის სასაწყობო
- 16.სასაწყობო ბაქანი
- 17 საქმიანი მოედანი;
18. ტერიტორიაზე შესასვლელი
19. შიდა გზა





## 110 კვტ-იანი სატრანსფორმატორო ქვესადგური

ღია სატრანსფო ქვესადგური არ არის განხილული გზშ-ს ანგარიშში. ქვესადგური განკუთვნილია ღუმელის ელ.ენერგიით მომარაგებისათვის.

შ.პ.ს „მარჯანი-5“-ს ტერიტორიაზე მოწყობილია 18 მვა 110/10 კვ ქვესადგური, რისთვისაც პროექტით განხორციელდა:

- 110/10 კვ 18 მვა ტრანსფორმატორის მონტაჟი-1 ცალი;
- 110 კვ გამომყვანი უჯრედის მოწყობა, რომელიც საპროექტო ეგზ-თი დაუკავშირდა შპს „მეტალლაინ“-ში მოწყობილ 110 კვ ძაბვის საპროექტო ეგზ-ს გამომყვან უჯრედს;
- 110 კვ გამომყვანი უჯრედი დაკომპლექტდება შემდეგი ძალოვანი აპარატურით:
  - 110 კვ **120-SFM-32B** ტიპის- 3150 ა სამფაზა ამომრთველი 1კომპლ.;
  - 110 კვ HCB-123 ტიპის-1600 ა სამფაზა გამთიშველ დამიწების დანების 2 კომპლ.,
  - 110 კვ დენის ტრანსფორმატრი 150/5-ზე 4 ცალი მეორადი გრაგნილით.

110/10 კვ ქვესადგურის ცალხაზოვანი სქემა მოცემულია ნახ. 4.3.

110/10 კვ ქვესადგურის გეგმა მოცემულია ნახ. 4.4

110/10 კვ ქვესადგურის დამიწების გეგმა მოცემულია ნახ. 4.5.-ზე

110/10 კვ ქვესადგურის მეხდაცვის გეგმა მოცემულია ნახ. 4.6.-ზე

110/10 კვ ქვესადგურის ელ.განათების გეგმა მოცემულია ნახ. 4.7.-ზე

ქვესადგურამდე დენის მოსაყვანად მოწყობილია 155 მ. სიგრძის ელექტრო გადამცემი ხაზი, რომელიც ეყრდნობა 4 ლითონკონტრუქციის ანძას. მათგან პირველი, სიმაღლით 19 მ. განთავსებულია გამომყვანი უჯრედის მიმდებარედ, მეორე და მესამე სიმაღლით 53 მ, კერძო მესაკუთრეებისაგან იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, მესამე, სიმაღლით 27 მ. შპს მარჯანი-5-ის კუთვნილ ტერიტორიაზე (სურათები 4.5.-4.6.). ელექტრო გადამცემი ხაზის განთავსების პროექტი შეთანხმებული იქნა სახელმწიფო ელექტრო სისტემებთან.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“-ს მე-3 მუხლის მიხედვით 110 კვ ძაბვის ეგზ-ების დაცვის ზონა შეადგენს 20 მ-ს განაპირა სადენებიდან. ეგზ-ის საპროექტო მონაკვეთი კვეთს გასხვისებულ ნაკვეთებს, რომელთა მფლობელებთან შპს „მარჯანი 5“-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

საყრდენების განთავსება და ეგზ-ს გეგმა მოცემულია ნახაზზე 4.8.




სურათი 4.5. პირველი და მეორე ანბა




სურათი 4.6. მე-4 და მე-3 ანბა

ნახაზი 4.3. ქვესადგურის ცალხაზოვანი სქემა




ნახაზი 4.4. ქვესადგური ტერიტორიის გეგმა



					T2 2019-02-102-02		
					სსს "საბურთალოს რაიონის ენერჯეტიკის განყოფილება"		
					სსს "საბურთალოს რაიონის ენერჯეტიკის განყოფილება"		
საპროექტო	ს. კახიანი				საპროექტო	1	1
საპროექტო	ს. კახიანი				სსს "საბურთალოს რაიონის ენერჯეტიკის განყოფილება"		

ნახაზი 4.5. ქვესადგურის დამიწების სქემა



- პირობითი აღნიშვნა:**
- - ვარკობის დამიწების ფლანგის დამიწების D=200 მ, L=30 მ.
  - — პირობითული დამიწების ზოლიანი ფლანგი - 40x40 მ (0.70 მ სიმაღლე).
  - ⋯⋯⋯⋯⋯ - დამიწების ხაზების და პირობითული დამიწების ფლანგის მდებარეობის მითითება.
  - — ფლანგის ადგილის მითითება პირობითი დამიწების კონტურის (L=30 მ სიმაღლე).


**შენიშვნა**

1. ქვესადგურის ტერიტორიის დამიწების და დამიწების ფლანგების სიმაღლე უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო სიმაღლეს და დამიწების ფლანგის სიმაღლეს.
2. დამიწების ხაზების უწყვეტობის შემთხვევაში უნდა იქნას შეინიშნული საპროექტო სიმაღლის მითითება.
3. საპროექტო დამიწების ხაზების უნდა იქნას შეინიშნული 40 მ სიმაღლე.
4. დამიწების ხაზების უწყვეტობის შემთხვევაში უნდა იქნას შეინიშნული დამიწების სიმაღლე.
5. ვარკობის დამიწების ფლანგის სიმაღლე უნდა იქნას შეინიშნული საპროექტო სიმაღლეს.
6. დამიწების ხაზების უწყვეტობის შემთხვევაში უნდა იქნას შეინიშნული დამიწების სიმაღლე.

<b>T2 2019-02-102-04</b>				
შპს "ნარეჯანი-5" ის ვარკობის დამიწების და დამიწების ფლანგების 110 კვ მიწის გამანაწილებელი მოწყობილობიდან				
დასრულებულია	სამუშაო	დამიწების	საპროექტო	შპს "ნარეჯანი-5" ის ვარკობის დამიწების და დამიწების ფლანგების 110 კვ მიწის გამანაწილებელი მოწყობილობიდან
დასრულებულია	სამუშაო	დამიწების	საპროექტო	ელექტრული ნაწილი
დასრულებულია	სამუშაო	დამიწების	საპროექტო	ქვესადგურის ტერიტორიის გეგმა
დასრულებულია	სამუშაო	დამიწების	საპროექტო	შპს "კოდორი" ქ. იმბოლის 2019წ.




ნახაზი 4.6. მეხდაცვის გეგმა



T2 2019-02/102-06			
შპს "სარეკლამო-5"-ის გარე ელექტრომონტაჟის შპს "მეტელაინი"-ს ქვესადგურის 110 კვ ძაბვის განმარტოვებული მოწყობილობიდან			
შპს "სარეკლამო-5"-ის ტერიტორიაზე 110 კვ ძაბვის ტრანსფორმატორის			
ელექტრული ნაწილი	8,3	1	1
ქვესადგურის ტერიტორიის მეხდაცვის გეგმა	შპს "კოდორი" ქ. თბილისი 2019წ.		


ნახაზი 4.7. ქვესადგურის განათების გეგმა



მატიერიალი	ერთეული	რაოდენობა
1. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
2. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
3. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
4. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
5. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
6. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
7. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
8. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
9. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
10. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
11. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
12. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
13. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
14. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
15. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
16. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
17. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
18. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
19. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1
20. მინერალური მასალის სპილენძი	კვადრ.	1

T2 2019-02-102-08				
შპს "ზარეფანი-5"-ის გარე ელექტრომომარტვა შპს "სეტელაინი"-ს ქვესადგურის 110 კვ ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობიდან				
დასრულებულია	საბუღალტრო დეპარტამენტი	საბუღალტრო დეპარტამენტი	საბუღალტრო დეპარტამენტი	საბუღალტრო დეპარტამენტი
ფურცლები	3 გარეული	ელექტრული ნაწილი	8,3	1 1
შემოქმედებულია	გ. დარეფანი	ქვესადგურის ტერიტორიის განათების გეგმა	შპს "კოდორი" კ. თბილისი 2019 წ.	

ნახაზი 4.8. ეგზ-ს გეგმა



ეგზ მოწყობილია პროექტის შესაბამისად, შემოწმებული იქნა სახელმწიფო ელექტრო სისტემების მიერ, რის შემდეგაც გაცემული იქნა ქვესადგურის ელექტრო სისტემაზე მიერთების ნებართვა (დანართი 5.).

სატრანსფორმატორო ქვესადგურის ტერიტორია შემოღობილია მთლიანად, შიდა მხრიდან მავთულბადით, ტერიტორიის საზღვარი ბეტონის ღობით (სურათი 4.7.). ტერიტორიაზე განთავსებულია 110/10 კვა ძალოვანი ტრანსფორმატორი (სურათი 4.8.), რომელიც დადგმულია ბეტონის საყრდენებზე. ტრანსფორმატორის ქვეშ მოწყობილია შემკრები ორმო, ზეთის ავარიული დაღვრისათვის, რომელიც მიერთებულია ზეთშემკრებ ავზთან (სურათი 4.9.). ორმო შევსებულია ღორღით.

ტრანსფორმატორის აღმოსავლეთით განთავსებულია დამცავი მოწყობილობები, ამომრთველები და გამთიშველები (სურათი 4.10.). შიდა ელექტროკაბელები განთავსებულია ბეტონის არხში.



სურათი 4.7.



სურათი 4.8.





სურათი 4.9.



სურათი 4.10.

ქვესადგურის მართვის პანელი განთავსებულია ტერიტორიაზე არსებულ შენობაში. რომელშიც ინახება ასევე თანამშრომელთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (სურათი 4.11. და 4.12.).



სურათი 4.11.





სურათი 4.12.

ქვესადგურის შესასვლელ ჭიშკარზე და საჭირო ადგილებში განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები (სურათი 4.13.). ხელმისაწვდომ და საჭირო ადგილებზე დადგმულია სახანძრო სტენდი და ცეცხლმაქრები (სურათი 4.14.).

ქვესადგურში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 4 კაცს, რომლებსაც გავლილი აქვს და მუდმივად უტარდებათ სწავლება უსაფრთხოების წესების დაცვაზე (დანართი 6).



სურათი 4.13.



სურათი 4.14.

ქვესადგურში ყველა ელექტრომოწყობილობა დამიწებულია პროექტის შესაბამისად, მოწყობილია მეხამრიდები (სურათები 4.15. და 4.16). მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის უზრუნველსაყოფად მუდმივად ხდება ქვესადგურზე არსებული რისკების შეფასება, არსებული და დამატებითი კონტროლის ზომების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა (დანართი 7.).



სურათი 4.15.



სურათი 4.16.

ეგხ-ს და ქვესადგურის მდგომარეობა მოწყობის შემდეგ შეფასებული იქნა სახელმწიფო ენერგოსისტემების ხელმძღვანელობით შექმნილი კომისიის მიერ, რომლის დადებითი დასკვნის (დანართი 5) საფუძველზე განხორციელდა სისტემის ქსელთან მიერთების ნებართვის გაცემა.

## 5. ექსპლუატაციის პირობების შეცვლით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

შპს „მარჯანი 5“-ის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს წარმადობის გარდზას, ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის ცვლილებას, შესაბამისად გარემოზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზემოქმედების მომატება მოსალოდნელი არ არის.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შეფასება მოხდა ყველა შესაძლო მიმართულებით.

### 5.1. ზემოამედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იწვევს გამოყენებული ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის რაოდენობრივ ცვლილებებს, შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობა და რაოდენობა დარჩება უცვლელი.

გზშს ეტაპზე ჩატარებული გაბნევის გაანგარიშების შედეგების მიხედვით, მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში (დასახლებული პუნქტის და 500 მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე) არ აღემატება ნორმატიულ მნიშვნელობებს. ამდენად სილიკომანგანუმის საწარმოს ფუნქციონირებისას ჰაერის ხარისხის გაუარესებას ადგილი არ ექნება და მიღებულ გაფრქვევებს შესაძლებელია კვალიფიკაცია მიეცეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზშ-ს ეტაპზე ასევე, შესრულდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების პროგრამული გაბნევა ფონის გარეშე, რომლითაც დადასტურდა, რომ სილიკომანგანუმის საწარმოს მიერ ექსპლუატაციის პროცესში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები ფონის გარეშე უმნიშვნელოა.

რადგან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი ცვლილება არ ხდება (გადანაცვლება მხოლოდ წიდის გაცივების ადგილი), ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების გაზრდა მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ელექტროგადამცემ ხაზს და ქვესადგურს, მათი ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები არ ხდება.

საწარმო აღნიშნული სქემით ფუნქციონირებს ექსპლუატაციის შესვლის დღიდან. ჩატარებულია ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგი (დანართი 8.), რითაც დასტურდება, რომ საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში უახლოს დასახლებულ პუნქტთან მავნე ნივთიერებების ფაქტიური რაოდენობები არ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

## 5.2. ზემოქმედება ხმაურის წარმოქმნა-გავრცელებაზე

გზმ-ს ეტაპზე თეორიულად გაანგარიშებული იქნა უახლოეს მოსახლესთან ხმაურის მოსალოდნელი მნიშვნელობები. საწარმოში ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გულისხმობს ხმაურის წყაროს დამატებას, ან ახალი მოწყობილობის დამონტაჟებას, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს ხმაურის მომატება.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. ასევე, სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც მოხდება ნედლეულის, მზა პროდუქციის და ნარჩენების ტრანსპორტირება (თვითმცლელი).

საწარმოს დანადგარ-მექანიზმებით გამოწვეული ხმაურის მაქსიმალურ დონედ აღებულია 80 დბა. გარდა ამისა, დამეზებულია რომ პარალელურად ხმაურის გამომწვევი წყაროები შეიძლება იყოს თვითმცლელ(ებ)ი, რომელთა ხმაურის დონე შესაბამისად შეადგენს 85 დბა-ს.

განგარიშებით მიღებული შედეგის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ მასივთან ხმაურის დონემ შესაძლოა შეადგინოს 46 დბა, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ, დღის საათებში ხმაურის დონის დასაშვებ მაჩვენებელს (55დბ) არ გადააჭარბებს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ საქმიანობის პროცესში ხმაურის გამომწვევი ყველა წყაროს ერთდროული მუშაობა ნაკლებად სავარაუდოა. საწარმომდე მისასვლელი გზა კი საცხოვრებელ ზონაში არ გაივლის.

გზმ-ს ეტაპზე შემუშავებული დასკვნით, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვით ფუნქციონირებისას უახლოესი საცხოვრებელი სახლების საზღვართან ხმაურის გავრცელების რისკები ძალზედ დაბალია და შესაბამისად მოსახლეობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული დადასტურებულია ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ჩატარებული ინსტრუმენტული მონიტორინგით (დანართი 8).

ლიტერატურული წყაროების მიხედვით ხმაური შესამჩნევია 330 კვ და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე, ისიც შესაბამისი ამინდის პირობებში. 110 კვ ეგზ და 110/10 კვ-იანი ქვესადგურით გამოწვეული ხმაური უმნიშვნელოა და ადამიანისთვის შეუმჩნეველია. იგი საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ხმაურის ფონზე გავლენას ვერ მოახდენს, მით უმეტეს მგრძნობიარე რეცეპტორებამდე ვერ მიაღწევს.

ამდენად, საწარმოში წიდის გაცივების მეთოდის შეცვლა ხმაურზე გავლენას ვერ მოახდენს და დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.



### 5.3. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებული არ არის რაიმე სახის წყალსარგებლობასთან. არ იწვევს დამატებითი წყლის გამოყენებას, ან ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

გზმ-ს ეტაპზე მიღებული დასკვნებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი არსებობს:

- ✓ ჩამდინარე წყლებით დაბინძურებით;
- ✓ ზეთებისა და ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით (სატრანსპორტო საშუალებებიდან);
- ✓ ნარჩენების არასწორი მართვით.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად ტერიტორიაზე მოწყობილია 55.5 მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმო, რომლის გაწმენდა ხდება საჭიროებისამებრ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, ზედაპირული წყლების სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებით დაბინძურებას ადგილი არ აქვს.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მთავარ დამაბინძურებელს წარმოადგენს მანგანუმშემცველი ნედლეული, ზეთები და ნავთობპროდუქტები. ნავთობპროდუქტების დიდი რაოდენობით შემოტანა ტერიტორიაზე არ ხდება. შემოიტანება მხოლოდ საჭირო რაოდენობის ნავთობპროდუქტები, რომელიც საწყობდება დახურულ სათავსოში, შესაბამისი გარემოსდაცვითი წესების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებულ მანგანუმშემცველ ნედლეულს, არ ხდება მისი საწარმოს ეზოს ტერიტორიაზე დასაწყობება. შემოტანილი ნედლეული თავსდება საწარმოო შენობაში. ყოველივე ეს კი გამორიცხავს სანიაღვრე წყლების დაბინძურებას.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლში წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ გაგრილების სისტემაში. ფეროშენადნობი ლუმელის, ტრანსფორმატორის, მოკლე ქსელის და საკონტაქტე ყბების გადახურებისაგან დასაცავად საჭიროა მათი წყლით გაცივება, რისთვისაც გამოიყენება გაცივების სისტემა, რომელიც შედგება 120 მ<sup>3</sup> მოცულობის აუზისაგან. გამოყენებული წყალი ბრუნდება აუზში. აორთქლების შედეგად დაკარგული წყალი შეივსება წყალმომარაგების ხაზიდან. ჩაკეტილი ბრუნვითი წყალმომარაგება მაქსიმალურად გამორიცხავს შემდგომში საწარმოს დაბინძურებას საწარმოო ჩამდინარე წყლებით.

არსებობს გრუნტის წყლების დაბინძურების გარკვეული რისკები. აღნიშნული დაკავშირებულია ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევასთან. ზეთებისა და ნავთობპროდუქტებით(ტექნიკიდან და მოძრავი ტრანსპორტიდან) გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების პრევენციის მიზნით მუდმივად ხდება მოძრავი ტექნიკის გამართულობის შემოწმება. საწარმო არ ქირაობს (ტერიტორიაზე არ უშვებს) გაუმართავ ტექნიკას და ავტოტრანსპორტს.

საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია 110 კვტ-იანი ძალოვანი ტრანსფორმატორი, რომელიც მოწყობილია უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით.

ტრანსფორმატორი განთავსებულია ჰერმეტიკული ბეტონის ორმოზე, რომელიც დაკავშირებულია ზეთშემკრებ ჭასთან. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, ჭიდან ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტი შეგროვდება ზეთშემკრებ ავზში.

ამდენად, შესაბამისი უსაფრთხოების ნორმებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით საწარმოს ნორმალური ექსპლუატაციის დროს ზედაპირული წყლების, გრუნტისა და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები ძალზედ მცირეა.

#### **5.4. ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების რისკები**

გზმ-ს ეტაპზე ეკოლოგიური აუდიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად წარმოდგენილი არ არის. ამდენად ობიექტი საკადასტრო საზღვრებში ნიადაგზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.

საწარმომ გრუნტის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედება შეიძლება გამოიწვიოს:

- ტექნიკიდან ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში;
- ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში;

აუცილებელია ტექნიკის და მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მუდმივი მეთვალყურეობა და გაუმართაობის დაფიქსირებისთანავე დროული ზომების მიღება.

ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში დროულად უნდა მოიხსნას გრუნტის დაბინძურებული ფენა და გადაეცეს სპეციალური ნებართვის მქონე კომპანიას შემდგომი რემედიაციის მიზნით. აუცილებელია ტერიტორიის სანიტარიული პირობების დაცვა.

ნარჩენების მართვის გეგმაში გაწერილი და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის დაბინძურების რისკი დაბალია.

ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა მოსალოდნელია 110 კვტ-იანი ძალოვანი ტრანსფორმატორიდან, თუმცა ქვესადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია დაღვრილი ზეთების შეკრების სისტემა, ამდენად ავარიული სიტუაციების დროს გარემოს დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

ეგხ-ის საყრდენების მოწყობა განხორციელდა კანონმდებლობის დაცვით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად. მე-2 და მე-3 საყრდენი განთავსებულია კერძო მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მესაკუთრეებთან შეთანხმებით (ხელშეკრულებით). გადამცემი ხაზის ექსპლუატაცია ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ნიაგადისა და გრუნტის დაბინძურების რისკი არ იზრდება.

### **5.5. ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედება**

ელექტრული ნაკადების მოძრაობის შედეგად წარმოიქმნება მაგნიტური ველები. მათი ძალა იზრდება ძაბვის ზრდის პარალელურად. მაგნიტური და ელექტრული ველები მცირდებიან მანძილის ზრდის პარალელურად. ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციისას არაა მოსალოდნელი მნიშვნელოვანი დასხივება ახლომდებარე მცხოვრებლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობისთვის საზიანო რისკების საფუძველი ნაკლებია, მიზანშეწონილია ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივების განხილვა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევების მიხედვით ელექტრომაგნიტური ველი არ იწვევს რაიმე გრძელვადიან ჯანმრთელობისთვის საზიანო ეფექტებს. ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება შესაძლოა უფრო დაბალი იყოს გასხვისების ზოლის საზღვარზე, ვიდრე ყოველდღიურად გამოყენებადი საოჯახო ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციისას. მოწყობილი ხაზის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ელექტრული ველების დონე არ შეიცვლება.

ზემოაღნიშნულის და ეგხ-ს სიგრძის გათვალისწინებით ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

### **5.6. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება**

გზმ-ს ეტაპზე შემუშავებული დასკვნებით, მცენარეულ საფარზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ვინაიდან, სილიკომანგანუმის ჩამოსმხის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპი არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე რაიმე სახით ზემოქმედებას (მაგ. ხეების მოჭრა ან გადაბეღვა).

ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მხოლოდ არაპირდაპირ ზემოქმედებას, რაც დაკავშირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმო აღჭურვილია ეფექტური აირგამწმენდი სისტემით, მათი ნორმალური ოპერირების შემთხვევაში მავნე ნივთიერებების ზენორმატიულ ემისიებს არ ექნება ადგილი. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

შესაბამისად საწარმოს ფუნქციონირებით, ფაუნაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საწარმოს განთავსების არეალში არ არის გავრცელებული დაცული სახეობის ფაუნის წარმომადგენლები. საქმიანობის განხორციელების ტერიტორია საკმაოდ

ანთროპოგენურია და აქ გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლები გარკვეულწილად შეგუებულნი არიან ადამიანთა საქმიანობას. ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების რისკი ძალზედ დაბალია და შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს;

მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლა დამატებით ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

თუმცა გზმ-ს ანგარიშში არ არის განხილული ეგზ-ისა და ქვესადგურის მოწყობით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.

ძალოვანი ტრანსფორმატორი და მისი დაცვისა და მართვის სისტემა განთავსებულია საწარმოს ტერიტორიის შიგნით, შემოღობილ, ადამიანებისა და ცხოველებისაგან დაცულ ტერიტორიაზე. მისი ექსპლუატაცია ბიოლოგიურ გარემოზე რაიმე გავლენას არ გამოიწვევს.

რაც შეეხება ეგზ-ის გავლენას, 110 კვ-იან გადამცემ ხაზს მისი სიგრძე იმდენად მცირეა, საწარმოთა ტერიტორიების გარეთ დამონტაჟებულია მხოლოდ 2 ანძა. ორივე ანძა განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ანთროპოგენურად დატვირთულ ტერიტორიაზე. ამდენა, მისი მოწყობის სამუშაოები ვერ მოახდენდა გავლენას ბიოლოგიურ გარემოზე.

110 კვ-იან ეგზ-ს ჩვეულებრივ არ გააჩნია მაიონიზებული და თერმული ეფექტი, რადგანაც ელექტრომაგნიტური ველი ელექტროგადამცემი ხაზის სიხშირეების ფარგლებში ძალიან სუსტია. შესაბამისად მისი ექსპლუატაციით ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

## 5.7. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

საწარმოს განთავსების ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზეგავლენას და უკვე მიღებული აქვს გარემოსთან შეგუებული სახე (ტექნოგენური ლანდშაფტი).

მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის ცვლილება გულისხმობს საწარმოს ტერიტორიის შიგნით მასალების განთავსების გადანაცვლებას, რაც ვერ გამოიწვევს დამატებითი ლანდშაფტის შეცვლას. ქვესადგურის განთავსება მოხდა ასევე შიდა, შემოღობილ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ეგზ.-ს 2 ანძას, რომელიც განთავსებულია საწარმოს ტერიტორიის გარეთ, მნიშვნელოვან ლანდშაფტურ ცვლილებას არ გამოიწვევს, რადგან ”მარჯანი 5“-ის ეგზ-ს მიმდებარდ განთავსებულია სახელმწიფო ელექტროგადამცემი 110 კვ-იანი ხაზების „კობრა“ და „კობრა 2“-ის ანძები. მათ ფონზე 2 ანძის დამატება მნიშვნელოვან ვიზუალურ ცვლილებას არ გამოიწვევს.

## 5.8. ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

საწარმოო ტერიტორია მოქცეულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე არეალში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა სამეწარმეო საქმიანობა. ამას ემატება ისიც, რომ საწარმოო ტერიტორია ადრე სამშენებლო და საწარმოო ნარჩენების ნაგავსაყრელს წარმოადგენდა.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გულისხმობს ტერიტორიის საზღვრების გაფართოებას გამომდინარე აქედან, ისტორიულ-კულტურულ ძეგლების გამოვლინებას ადგილი არ ექნება.

## 5.9. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საწარმოს ტერიტორია მდებარეობს მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, დაბლობ ტერიტორიაზე. ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით საყურადღებო უბნები გამოვლენი არ არის.

საწარმოს საქმიანობის პროცესში საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკი მინიმალურია და შესაბამისად, საწარმოო უბნების გადანაცვლებით რაიმე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

## 5.10. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

საწარმოს ექსპლუატაცია შედის მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში, ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანის (როგორც მომსახურე პერსონალის ისე მიმდებარედ მაცხოვრებლების) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის განსაკუთრებული ზომების მიღება.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია დაწესებული რეგლამენტის დარღვევის, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში. შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება, საკმაოდ მძიმე სახიფათო შედეგებით. ადამიანთა ჯანმრთელობაზე პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა.

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, საწარმოს შექმნილი აქვს განყოფილება უსაფრთხო შრომის პირობების შესაქმნელად. შედგენილი აქვს კანონით გათვალისწინებული ყველა ნორმატიული დოკუმენტაცია, ყოველდღიურად მიმდინარეობს დასაქმებულთა ინსტრუქტაჟი. მკაცრად



კონტროლდება ინდივიდიალური დაცვის საშუალებების გამოყენება. შედგენილია ინცინდენტებისა და უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 110 კვ-იანი სატრანსფორმატორო ქვესადგური, რომელშიც მოწყობილია ქვესადგურის, გარემოსა და ადამიანების დაცვისათვის საჭირო ყველა ღონისძიება. ექსპლუატაცია მიმდინარეობს უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით.

ტერიტორია დაცულია გარეშე პირთა შეღწევისაგან. დასაქმებულ პერსონალს მუდმივად უტარდებათ სწავლება ქვესადგურის ექსპლუატაციის წესებსა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში. მუდმივად ხდება რისკების შეფასება და არსებული და დამატებითი კონტროლის ზომების შემუშავება.

ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.

#### **5.11. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე**

შპს „მარჯანი 5“-ს საწარმოს ზემოქმედება დასაქმებასა და ეკონომიკურ გარემოზე შეიძლება ჩაითვალოს დადებითად.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ არის დაკავშირებული მუშაობის რეჟიმის, წარმადობის, გამოყენებული ნედლეულის გაზრდასთან, შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **5.12. კუმულაციური ზემოქმედება**

გზშ-ს ეტაპზე ჩატარებული კვლევებისა და მიღებული დასკვნების შესაბამისად, საწარმოს ნორმალური ოპერირების პერიოდში კუმულაციური ზემოქმედება მნიშვნელოვნად არ შეცვლის ტერიტორიაზე არსებულ ფონურ მდგომარეობას. გარემოზე ზეგავლენის რისკიც დაბალ ზემოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული დასტურდება ექსპლუატაციის ეტაპზე ჩატარებული ინსტრუმენტული მონიტორინგითაც.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის გაზრდას, მუშაობის რეჟიმის შეცვლას, არ იწვევს დამატებით ემისიებს ატმოსფერულ ჰაერში. შესაბამისად, გარემოზე დამატებითი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **5.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება**

საწარმოს ექსპლუატაცია არ იწვევს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას. ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს წარმადობის ან/და მუშაობის რეჟიმის შეცვლას. არ ხდება ახალი ტერიტორიის ათვისება. გარემოს არცერთ რეცეპტორზე არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ഇടയാക്കുന്നു

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მაქის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 32.12.33.180**

**ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**

განცხადების რეგისტრაცია  
N 892021054114 - 09/12/2021 11:10:49

მომზადების თარიღი  
09/12/2021 12:01:07

**საკუთრების განყოფილება**

ზონა შესტაფონი	სექტორი კვალითი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუშავებელი ფართობი: 12258.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:32.12.33.005; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 ფართობი - 3437.1 კვ.მ.
32	12	33	180	

მისამართი: რაიონი შესტაფონი , სოფელი კვალითი ,  
(კაშხლის მიმდებარედ)

**შესაკუთრის განყოფილება**

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892017198429 , თარიღი 11/12/2017 11:57:15  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/12/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შპს "ეკომეგალი"-ს საწარმოს ექსპლიატაციაში მიღების აქტი , დამოწმების თარიღი:07/08/2007
- ბრძანება N43 803 , დამოწმების თარიღი:11/08/2017 , შესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:10/07/2014 , საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შესტაფონის სარეგისტრაციო სამსახური
- წერილი N1120 , დამოწმების თარიღი:31/08/2007 , შესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

შესაკუთრები:  
შპს "ეკომეგალი" , ID ნომერი:230085332

შესაკუთრე: აღწერა:  
შპს "ეკომეგალი"

**იპოთეკა**

- 1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021405878 თარიღი 25/05/2021 13:27:25  
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/05/2021
- 2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021489113 თარიღი 17/06/2021 14:34:17  
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/06/2021
- 3) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021977669 თარიღი 16/11/2021 12:05:34  
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/11/2021
- საგადასახადო გირავენობა:
- საგადასახადო გირავენობა/აპოთეკა: 102013338807 23/12/2013 14:28:27  
 შპს შპს ეკომეგალი ს/ნ 230085332  
 საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება  
 საფუძველი: შეტყობინება, N0942912, 23.12.2013, შემოსაქვლების სამსახური

### სარგებლობა

- განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016808477 თარიღი 22/11/2016 17:39:45  
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 28/11/2016
- მეიჯარე: შპს "ეკომეგალი" 230085332;  
 მოიჯარე: შპს „მარჯანი-5“ 200168282;  
 საგანი: მიწის ნაკვეთი: 12258 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N01 (მშენებარე);  
 თანხა: 1500 GEL.  
 ხელშეკრულების დადების თარიღი: 22/11/2016;  
 ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 25 წელი;
- ფარის და აღნაგობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 22/11/2016, საჯარო რეგისტრაციის ეროვნული სააგენტო

### ვალებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

"ფინანსური პირის მიერ 2 წლამდე ვადით სიკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის ტრადიციის, აგრეთვე საგადასახადო წესის განხილვითა და 1000 ლარის ან მეტა დარბეულების ქონების სანქციონირების მიზნების მიხედვით გადისხადი გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წესის მომსახურე წესის 1 პარაგრაფის მიხედვით აღნიშნული ფინანსური პირი იმხელე ვადით წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანიზაციის, აღნიშნული ვადის დასრულების შემდგომ დაწინაურდება საინფორმაციო საინფორმაციო სისტემების მიხედვით, რაც იქნება მისი უსამართლობის საჩივრის საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დეკლარაციის ნაშთის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფისში ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერბიტიულ საინფორმაციო სისტემაში, იუსტიციის სახელსა და სააგენტოს ავტომატურ პორტალში;
- ამონაწერი გვერდით ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაეკავშირდით: 2 405405 ან პირდაპირ შეიძენთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახელს ეხელე ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მზადან უკანაო ქმედების შემთხვევაში დაეკავშირდით ეხელე ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინფორმაციო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტა: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



## დანართი 2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

**ბრძანება** N 2-721

29/07/2019

**ქ. თბილისი**

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითში, შპს „მარჯანი 5“-ის სილიკომანგანუმის  
საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის  
შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „მარჯანი 5“-ის მიერ წარმოდგენილია სოფელ კვალითში სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

2018 წლის 17 ივლისს (წერილი N9019) შპს „მარჯანი 5“-ის მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იყო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითის ტერიტორიაზე, სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N2-783 24.09.2018; სკოპინგის დასკვნა #39 13.09.2018).

გზშ-ს ანგარიშში ალტერნატიული ვარიანტების ქვეთავში წარმოდგენილია არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტები და საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები. გზშ ანგარიშში განხილულია საწარმოს განთავსებისათვის 2 ალტერნატივა, აღნიშნული ალტერნატივების ანალიზის შედეგად უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატივას, რომლის მიხედვითაც შპს „მარჯანი 5“ მიერ სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფ. კვალითში (კაშხლის მიმდებარედ, ს/კ: 32.12.33.180), მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე (პირველ ალტერნატივა). საწარმო განთავსდება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით - 12258 მ<sup>2</sup>, რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული შპს „ეკომეტალი“-სგან 25 წლის ვადით.

საპროექტო საწარმო ტექნოგენურად დატვირთულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ტერიტორია შემოსაზღვრულია 3 მეტრი სიმაღლის ბეტონის ანაკრები ფილებით.

საწარმოს ტერიტორიას ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწები, დასავლეთით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები, სამხრეთით მდინარე ყვირილა (ბეტონის ღობიდან დაშორება 25 მ, უშუალოდ საწარმოს შენობიდან 65 მეტრი). უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 215 მეტრში, ტერიტორიიდან 520 მეტრში მდებარეობს ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის შენობა.

უშუალოდ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდება: საწარმოო შენობა - 95,3x37,6x22.0 (h) მ პარამეტრებით; ელ.დუმელის საამქრო; მადანთერმული დუმელი -1 ერთ  $\Phi$ -5.312 მ; ქვესადგური; დუმელის სატრანსფორმატორო; საოპერატორო; ელ.ხიდურა ამწე-3 ერთ 15/5 ტ; ნედლეულის საწყობი; მზა პროდუქციის საწყობი; კაზმის მოსამზადებელი ბუნკერები; დუმელისათვის კაზმის ჩასაყრელი ბუნკერები; წიდის გასატანი ესკალატორი; აირგამწმენდი ნაგებობა 13,7x3,7x13,0 (h) მ; გამაგრილებელი აუზი - 15,0x3,5x3,0 (h) მ; საკვამლე მილი-1 ერთეული,  $\Phi$ -1,0, H-26,0 მ; ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო შენობა-16,4x6,4x3,80 (h) მ; ცალკე მდგომი WC-2 ადგილიანი-3,0x3,0x2,80 (h) მ; ფეკალური ორმო -5,80x3,30x2,90 (h) მ; წყლის სადანეო ავზი - 16 ტ; არტეზიული ჭა -  $\Phi$ -1,0 მ; გამშვები პუნქტი; ღობე; გასაწევი ჭიშკარი; შიდა გზა; ავტოსადგომი; გამწვანება.

საწარმოს სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენს, სამუშაოებისთვის მოსამზადებელი პერიოდი კი 1 თვეს, სამუშაოებზე დასაქმდება 30 ადამიანი, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, სამუშაო დღეების რაოდენობა იქნება 144 დღე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გათვლილია წელიწადში 7920 ტონა (დღე-ღამეში 24 ტონა) სილიკომანგანუმის წარმოება, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 330 სამუშაო დღე წელიწადში, საწარმოში დასაქმდება 100 ადამიანი.

საწარმოსთვის საჭირო მასალებია: მანგანუმის მადანი, რომელსაც შეიძენს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნიდან, კოქსწერილა - უკრაინიდან და თურქეთიდან, კვარციტი - კაზრეთიდან, რკინის ხენჯი (მადანი) - რუსთავიდან, კირქვა- თერჯოლიდან (მდ.ჭიშურა), კვარცის სილა - საჩხერიდან და გურიიდან და გრაფიტის ელექტროდები- ჩინეთიდან და უკრაინიდან.

საწარმოო შენობაში დაგეგმილია: ელექტრო დუმელის საამქროს, ქვესადგურის, დუმელის სატრანსფორმატოროს, საოპერატოროს, სადნობი განყოფილების, ნედლეულის საწყობის, მზა პროდუქციის საწყობის, კაზმის მოსამზადებელი და დუმელში ჩასაყრელი ბუნკერების, წიდის გასატანი ესკალატორის, აირგამწმენდი ნაგებობის და გამაგრილებელი ავზის განთავსება. საწარმოში ყველა სახის ნედლეული შემოიზიდება რკინიგზის როდონებით და ავტოტრანსპორტით. გზმ ანგარიშზე დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციაში მოცემულია საწარმომდე მისასვლელი გზის ოპტიმალური მარშრუტები და აღნიშნულია, რომ ძირითადად მოხდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზით (E60 ) სარგებლობა. საწარმოში დღე-ღამეში შემოსული საჭირო ნედლეულის რაოდენობებია: მანგანუმის მადანი - 67ტ; კოქსი - 12ტ; კვარციტი - 12ტ; კირქვა - 4,3ტ; რკინის ხენჯი - 2,5ტ. საჭირო ნედლეულის 70%-ის შემოტანა იგეგმება საავტომობილო ტრანსპორტით, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით - 30%. ნედლეული ჩამოიცილება საწარმოში საიდანაც თვითმცლელის საშუალებით იყრება საამქროში. ხიდურა დაკიდებული გრეიფერით (მოცულობა 3 მ<sup>3</sup>) მასალები იყრება 12 მ<sup>3</sup> მოცულობის ბუნკერებში (მც). თითოეული ბუნკერის ქვეშ დაყენებულია მბრუნავი მკვებავი და ავტომატური დოზატორი. დოზატორების საშუალებით მასალა მიეწოდება შემკრებ



კონვეიერს, კონვეიერიდან მასალები იყრება მკვებავ კონტეინერში, ხიდურა ამწის საშუალებით მკვებავი კონტეინერიდან მასალა მიეწოდება მკვებავ ბუნკერს, საიდანაც მილსადენებით იყრება მადანთერმულ ღუმელში (17 მ<sup>3</sup> მოცულობა), დნობის პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად 550 მმ დიამეტრის გრაფიტის ელექტროდებით. გამდნარი ლითონის და წიდის გამოშვება ხდება ორ საათიანი ინტერვალით, რომელიც გამოსაშვები ღარიტ ჩადის ლითონის და წიდის ციკხვებში. გამდნარი ლითონი ისხმევა ჩასასხმელ ჩანებში. წარმოქმნილი წიდა წარმოადგენს ნედლეულს და იგეგმება მისი რეალიზაცია, გაციების შემდეგ წიდა თვითმცლელის საშუალებით გაიტანება შპს „ეკომეტალის“ ტერიტორიაზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. წიდის დღე-ღამური წარმოება იქნება 35ტ (თვეში 1050ტ), აქედან საორიენტაციოდ 20% დაბრუნდება წარმოებაში, რაც თვეში დაახლოებით 210ტ-ს შეადგენს. ხოლო გამოუყენებელი წიდა როგორც უკვე აღინიშნა გადაეცემა მეზობლად არსებულ შპს „ეკომეტალ“-ს წიდის გადამამუშავებელ საამქროს.

საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე სასმელ-სამეურნეო წყლით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ქ. ზესტაფონის წყალმომარაგების ქსელიდან აღებული წყლით. მოწყობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის ხარჯი იქნება 180მ<sup>3</sup>/წ, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - 1485მ<sup>3</sup>/წ. საწარმოო ტექნიკური წყლით მომარაგება განხორციელდება ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან, რომელიც გამოიყენება ღუმელის, ტრანსფორმატორის, მოკლე ქსელის და საკონტაქტე ყბების გადახურებისგან დასაცავად. გამოყენებული წყლის რაოდენობა შეადგენს დღე-ღამეში დაახლოებით 4-5 ტ-ს, წელიწადში 1650 ტ. მოცულობის შევსება მოხდება აორთქლებისას დაკარგული წყლის რაოდენობის შესაბამისად. ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით გათვალისწინებულია წყლის მომარაგება 16 ტონიანი სადაწნეო ავზიდან. სულ გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება 3152მ<sup>3</sup>/წ. ჩამდინარე წყლებისთვის გათვლილია 55,5მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტიული ამოსანიჩბი ორმო, რომელიც გაიწმინდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ხმაურთან დაკავშირებული გავლენები, რომლის მიხედვით ჩანს, რომ საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (215მ) ხმაურის მოსალოდნელი დონე დაშვებულ ნორმაზე დაბალია. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მოწყობის ეტაპზე ყველა ტექნიკის ერთდროულად მუშაობის დროსაც კი გავლენების შედეგად ხმაურის დონე არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. გზმ-ის ანგარიშზე დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ხმაურის დონე მოწყობის ეტაპზე შეადგენს 38,2 დეციბალს უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (215მ), ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გამოწვევი დანადგარები განთავსდება დახურულ საწარმოო შენობაში და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (215მ) - 31,9 დეციბალი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო საწარმო და შპს „ეკომეტალი“-ს წიდის გადამამუშავებელი საწარმო ერთმანეთის მიმდებარედ მდებარეობს კუმულაციური ზემოქმედება ხმაურის თვალსაზრისით იქნება დაბალი, რაც გამოწვეული იქნება დანადგარ-მოწყობილობების შენობის შიგნით განთავსებით. ხმაურის თვალსაზრისით უმნიშვნელო ზემოქმედება ექნება ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეულ ხმაურს. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით გზმ-ს ანგარიშში განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ბიომრავალფეროვნების მხრივ საწარმოს განთავსების ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია და ძირითადად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სარეველა ბალახებით და

რამდენიმე ხელოვნურად დარგული ახალგაზრდა ხე-მცენარეებით. საპროექტო ზონაში ფაუნა მალზედ ღარიბია და მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება არაა მოსალოდნელი. ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულ ტყიან ზონაში არ ფიქსირდება მცენარეთა მოწყვლადი სახეობები; ძლიერ სახეცვლილია ჰაბიტატი; გამოხატულია ანთროპოგენური ნიშნები (არსებული ჰაბიტატი განვითარებულია დასახლებების და საწარმოების მახლობლად). საწარმოს შემოგარენში დეგრადირებული და მოდიფიცირებული ჰაბიტატები გვხვდება, რაც ფაუნის უმეტესი წარმომადგენლისთვის არახელსაყრელი და უარყოფითი ფაქტორია. ფაუნისტური კვლევის შედეგების მიხედვით საკვლევ ტერიტორიაზე აღინიშნება ცხოველთა რაოდენობრივი სიმცირე, ჰაბიტატი ძირითადად მღრღნელებისთვისაა ხელსაყრელი.

საწარმოს მოწყობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია ავტოტრანსპორტით და სამშენებლო ტექნიკით, თუმცა მშენებლობის მასშტაბებიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე არსებულ ფონურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა არაა მოსალოდნელი. გზშ-ს ანგარიშის თანახმად საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვეული ნივთიერებების გაწმენდას უზრუნველყოს 99,8 % წარმადობის სახელოებიანი ფილტრი და საწარმოს აირგამწმენდ ნაგებობებში არსებული ორი ციკლონი. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში განსაზღვრულია მონიტორინგი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, აგრეთვე გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“.

გზშ ანგარიშის თანახმად რესპირაციული მტვერი 22-დან 2896-მდე მანგანუმს შეიცავს. მტვერი სპეციალური ბიგბეგებით მოიხსნება და შეერევა მანგანუმის სველ მადანს, რომელიც შემდგომ მიეწოდება ღუმელს სხვა ნედლეულთან ერთად (კაზში) გადასამუშავებლად. რესპირაციული მტვერის რაოდენობა დღე-ღამეში დაახლოებით 2 ტონას შეადგენს. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი და სხვადასხვა შეწონილი ნაწილაკები. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშმა აჩვენა, რომ ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან დაშორებულ უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში.

ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე მავნე ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ ავარიული სიტუაციების შედეგად წარმოქმნილი სახიფათო (მაგ. ნავთობპროდუქტები) და არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებისას. გზშ ანგარიშში განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზისას დადგინდა, საქმიანობისთვის შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის ფარგლებშიც მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამრეწველო-სამეურნეო საქმიანობა. აღნიშნულის შედეგად, საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში ნიადაგი მნიშვნელოვნად დეგრადირებულია, პროდუქტიულობის ხარისხი მალზედ დაბალია და ნყოფიერი ფენა პრაქტიკულად წარმოდგენილი არ არის. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად გრუნტის შესაძლო დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში დროულად უნდა მოიხსნას გრუნტის დაბინძურებული ფენა და გადაეცეს



სპეციალური ნებართვის მქონე კომპანიას შემდგომი რემედიაციის მიზნით. აუცილებელია ტერიტორიის სანიტარიული პირობების დაცვა.

გზმ ანგარიშის თანახმად, უშუალოდ საწარმოს ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით საყურადღებო უბნები არ გამოვლენილა. საწარმოს საქმიანობის ეტაპზე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკი მინიმალურია და შესაბამისად, რაიმე მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც განთავსდება შესაბამის სეპარირებულ კონტეინერებში და გაიტანება სპეციალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა და გაწერილი ღონისძიებების შესრულების შემთხვევაში საწარმოს ნარჩენებით დაბინძურებას ადგილი არ ექნება.

მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია შემდეგი მიმართულებებით: მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში; ხმაურის გავრცელება; სატრანსპორტო ნაკადის მატება; საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება. გზმ-ის ანგარიშში მოყვანილი გაანგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიებზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, როგორც 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ, აგრეთვე უახლოესი დასახლებული ზონის მიმართ (215 მ) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს აირგამწმენდი სისტემის ეფექტურობა იქნება 99.8 %, ამასთან, წარმოებისთვის საჭირო ნედლეული საწარმოს შენობაში განთავსდება და არ მოხდება მისი დასაწყობება ღია ტერიტორიაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიასა და შპს „ეკომეტალის“ საწარმოს, ასევე, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მავნე ნივთიერებათა ემისიებთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების რისკი დაბალია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2019 წლის 10 მაისს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. კვალითის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვები. საჯარო განხილვაზე შენიშვნები დამსწრე საზოგადოებას პროექტთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან (ააიპ „შწვანე ალტერნატივას“ მიერ) წარმოდგენილი იყო შენიშვნები და კომენტარები საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული შენიშვნები განხილულ იქნა სამინისტროს მიერ, რის შედეგადაც არგუმენტირებული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა წარმოების პროცესში და აისახა შესასრულებლად სავალდებულო პირობების სახით, ხოლო ის შენიშვნები რომელთა გათვალისწინებაც არ მოხდა ცხრილის სახით შესაბამისი დასაბუთებით თან ერთვის გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით სამინისტრომ ააიპ „შწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილ შენიშვნებთან ერთად უზრუნველყო შესაბამისი წერილის გადაგზავნა კომპანიისთვის და ითხოვა დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. სამინისტრომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მიიღო დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაციის წარმოდგენის შემდგომ.



გზმ-ს ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერების ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 12-ე მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-5 პუნქტის საფუძველზე.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ზესტაფონის რაიონში სოფ. კვალითში, შპს „მარჯანი-5“-ის „სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე“;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „მარჯანი 5“-მა საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებებისა და შესაძლო ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „მარჯანი 5“-მა საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმბოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანებით დამტკიცებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
5. შპს „მარჯანი 5“-მა უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. შპს „მარჯანი 5“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების ტექნიკური კონტროლი;
7. შპს „მარჯანი 5“-მა საწარმოს მოწყობის ეტაპისთვის უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის (მტვერი და გამონაბოლქვი), ხმაურის და ვიბრაციის კონტროლი ყოველთვიურად, ხოლო მოწყობის სამუშაოების დასრულებამდე შედეგების სამინისტროში წარმოდგენა;
8. შპს „მარჯანი 5“-მა საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპისთვის ატმოსფერული ჰაერის (მტვერი და გამონაბოლქვი), ხმაურის და ვიბრაციის კონტროლი განახორციელოს ყოველ კვარტალურად და შედეგები წარმოადგინოს სამინისტროში;

9. შპს „მარჯანი 5“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე ცხელ და მშრალ ამინდში უზრუნველყოს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის და საწარმოს ტერიტორიის მორწყვა მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად;
10. შპს „მარჯანი 5“-მა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 წლის ვადაში მწვანე ზოლის მოსაწყობად უზრუნველყოს საწარმოო ტერიტორიის პერიმეტრზე მრავალწლიანი ხე-მცენარეების დარგვა და მისი მოვლა-პატრონობა;
11. შპს „მარჯანი 5“-მა ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს, ავტომანქანების მოძრაობის გეგმა-გრაფიკის, ნედლეულის/მასალის, მზა პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტის და სქემის სამინისტროსთან შეთანხმება. ნედლეულის/მასალის, მზა პროდუქციის ტრანსპორტირება უზრუნველყოს შეთანხმების შესაბამისად. ამასთან დასახლებულ პუნქტში არ დაუშვას ნედლეულის/მასალის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება დაბინძურებული და მარაგადაუხურავი ავტომანქანებით;
12. შპს „მარჯანი 5“ ვალდებულია საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
13. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
14. ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „მარჯანი 5“-ს;
15. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მარჯანი 5“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
16. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
17. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება  
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ქ. თბილისი, 0114 ბ.პულკას ქ. 6, ტელ: +995 (32) 2720269



DES 2 23 00035540



16/05/2023

შპს "მარჯანი-5"-ის (ს/კ 200158051) დირექტორს  
ბატონ იოსებ სამადაშვილს

იურიდიული მისამართი: ქ. ზესტაფონი, უზნაძის ქუჩა №43

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ბატონო იოსებ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 სექტემბრის №DES72200000265 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითში, შპს "მარჯანი 5"-ის (ს/კ 200158051) კუთვნილი სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის №2-721 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2022 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 79<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073326 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2022 წლის 15 ნოემბრის №4/551-2022 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 79<sup>8</sup> მუხლის პირველი



ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგზავნებათ შპს „მარჯანი-5“-ის მიმართ შემუშავებული, დეპარტამენტის 2023 წლის 4 აპრილის №003181 ადმინისტრაციული მიწერილობა და გეგვალებათ ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, მიწერილობით განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრათ ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევები.

აქვე გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადგენას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>8</sup> მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად.

ასევე, ვინაიდან კომპანია ახორციელებს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, შპს „მარჯანი-5“ ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილ ვადაში მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

ამასთან, გთხოვთ, მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოადგინოთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (მისამართი: ქ. თბილისი, ვ. წითლანაძის 1 შესახვევი № 1).

აქვე გვსურს შეგახსენოთ, რომ უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

დანართი: ადმინისტრაციული მიწერილობა №003181 - 5 ფურცლად;

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მთავარი  
სახელმწიფო ინსპექტორი

ნელი კორკოტაძე

*ნ. კორკოტაძე*





საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა  
№ 003181

„04“ აპრილი 2022 წ.

ქ. თბილისი, ვ. ვაჟა-ფშაველას ქ.  
(შავიჩის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ

სხედმნიჭით სარგებლობაში განესხიზაება-გახეზოსაცვითი ზედამხედველ  
(ადმინისტრაციული მიწერილობის ვადები ოფისის დასახელება, ოფიციალური მისამართი)  
დებამხედველ; მის: ქ. თბილისი, ვ. ვაჟა-ფშაველას ქ. N6

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: "შპს „მზიანი-5" (ს/კ 20025905)  
(ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი)

მის: ქ. ზესტაფონი, ყუზნაძის ქ. N43; დიხეკოძისი ობიექტი  
(შთავიხიბ მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტი, ოფიციალური პირის სახელწოდება, ოფიციალური მისამართი)

საზღაფრის (კ/6 02026002560); 2019 წლის 29 იანვრის N2-721

ჩხბმნიჭითი გატარების გახეზოსაცვითი გადამხედველობა

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ობიექტი N003181 და  
აქმონისცხიეთოუსი მიწების ობიექტი N1  
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)



გასატარებელი დონისციებები: ახიჯი 11003181 ადმინისტრაციული მონეტარული  
დონისცი 112

(დედალების პირი, საჭიროების შემთხვევაში, შერეულების გაცემა)

თან ერთად დანართი: 4 ფაქტები

(დამართის №, გვერდების რ-მა, დანართების პარალელური შემთხვევაში დარღვევა)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციული სამსახურის დეპარტამენტის 79<sup>ფ</sup>  
მუხრანის ტერიტორიის ზღვრული ნაწილის შესაბამისად  
79<sup>ფ</sup> მუხრანის 2-2 ნაწილის შესაბამისად

(სამსახურის მფლობელი, შეთანხმებული პუნქტი ან მართალი, კვლავი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გვირგვინი ზედაპირული  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე-მთავარი სხვადასხვა  
ინსტრუქციები ნიჟარა კობახიძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კობახიძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივანე ნუნუა ვიქტორია

(მიწერილობის მიმღების წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

**2023 წლის 4 აპრილის №003181 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 სექტემბრის №DES72200000265 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითში, შპს „მარჯანი 5“-ის (ს/კ 200158051) კუთვნილი სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის №2-721 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

**შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:**

1. 2019 წლის 29 ივლისის №2-721 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-3 პირობის შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებებისა და შესაძლო ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, კერძოდ:
  - 1.1. საწარმოში არ არის მოწყობილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ხანძრის კვამლისა და ხანძრის სითბური მაუწყებლები;
  - 1.2. საწარმოში წარმოქმნილი წიდის გაცემა, ნაცვლად გზშ ანგარიშით გათვალისწინებული სპეციალური ციხვებისა, ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორმოში;
2. საწარმოს ტერიტორიაზე ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, მოწყობილია 110 კვ-იანი ტრანსფორმატორი, რომელიც არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

გამოვლილ დარღვევებზე, 2022 წლის 19 ოქტომბერს, შპს „მარჯანი 5“-ის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073326 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2022 წლის 15 ნოემბრის № 4/551-2022 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - **7 000 ლარის ოდენობით**. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.



2023 წლის 4 აპრილის №003181 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მარჯანი-5“-ის მიმართ შემუშავდა, დეპარტამენტის 2023 წლის 4 აპრილის №003181 ადმინისტრაციული მიწერილობა.

**2023 წლის 4 აპრილის №003181 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2**

შპს „მარჯანი 5“-ის (ს/კ 200158051) კუთვნილი სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის №2-721 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „მარჯანი-5“ ვალდებულია:

1. საქმიანობის განხორციელება მუდმივად უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებებისა და შესაძლო ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2019 წლის 29 ივლისის №2-721 ბრძანების მე-3 პუნქტი) მათ შორის:
  - 1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, საწარმოში ხანძრის კვამლისა და სითბური მაუწყებლების მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
  - 1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად უზრუნველყოს, წარმოქმნილი წიდის გაცივება სპეციალურ ციხეებში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
2. გაცივების მიზნით ციხევიდან ცხელი წიდის საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორმოში გადმოსხმა, არ არის განხილული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, რაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად მიიჩნევა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად.
3. საწარმოს ტერიტორიაზე, ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით მოწყობილი 110 კვ-იანი ტრანსფორმატორი, ასევე არ არის განხილული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, ხოლო 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

აღნიშნულიდან გამომდინარე (მიწერილობის მე-2 და მე-3 პუნქტი), შპს „მარჯანი-5“ ვალდებულია, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის

2023 წლის 4 აპრილის №003181 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

ვადაში, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

ნ. ხოხოქაძე



დანართი 4. ანძების და ქვესადგურის მოწყობის ნებართვები



საქართველო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება N 43 795

26/06/2020

შპს "მარჯანი 5"-ზე სოფელ კვალითში 110/10 კვ ძაბვის ქვესადგურის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების (დგმ) და მართვის პუნქტის შენობის მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მე-100 მუხლის, 101-ე მუხლის 1 ნაწილის „ბ“ პუნქტის, 107-ე მუხლის 1 ნაწილის „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილების 25-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტების თანახმად და შპს მარჯანი 5-ს დირექტორის იოსებ წამადაშვილის N19PDN00064OP01 განცხადების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და შესაბამისი სანებართვო მოწმობა, შპს "მარჯანი 5"-ზე (საიდენტიფიკაციო ნომერი: 200158051), ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი კვალითში (კაშხლის მიმდებარედ), შ.პ.ს "ეკოშტალი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 230085332) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 32.12.33.180, მოიჯარე: შ.პ.ს "მარჯანი 5"), II კლასის ობიექტის 110/10 კვ ძაბვის ქვესადგურის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების (დგმ) და მართვის პუნქტის შენობის (შენობის განაშენიანების ფართობი: 108.20 კვ.მ) მშენებლობისათვის და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს 1 (ერთი) წლით.

2 მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგის სამუშაოები იყოფა შემდეგ ეტაპებად:

- ა) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;
- ბ) შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები;
- გ) შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
- დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;
- ე) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მაქსიმუმ ყოველ 7.0 მეტრ სიმაღლეზე (სართულების შემთხვევაში – სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არაშხიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
- ვ) შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა;

ზ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

თ) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;

ი) ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;

კ) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;

ლ) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

3. მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამშენებლო/სანებართვო პირობები:

ა) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტაციის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი;

ბ) აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე;

დ) აწარმოოს მშენებლობა ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

ე) შეადგინოს მშენებლობის (ზედაშედეგობის) ეტაპის დასრულების ოქმი;

ვ) უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების დასრულება;

ზ) უზრუნველყოს ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

თ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე, გააცნოს მას სამშენებლო დოკუმენტაცია;

ი) საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვალდებულებებს შესრულება;

კ) დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

4. სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევისას, მშენებლობის ნებართვის მფლობელს დაეკისრება, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობისთანავე.

6. ეს ბრძანება, შეიძლება გასაჩივრდეს, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. 7), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი გოგლიჩიძე

მუნიციპალიტეტის მერი







**ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია**  
**GEORGIA**  
**ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL**



ბრძანება:ბ22.22211021  
 თარიღი: 12/04/2021

**შ.პ.ს „მარჯანი 5“-ზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების კვალითის**

**ქვედა საქარის და პირველი სვირის ტერიტორიაზე 110 კოლოვოლტიანი**

**მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისა და აღნიშნული ხაზის**

**საყრდენი ანძების მშენებლობისათვის ნებართვის გაცემის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მე-100 მუხლის, 101-ე მუხლის 1 ნაწილის „ბ“ პუნქტის, 107-ე მუხლის 1 ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილების 25-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტების თანახმად და შ.პ.ს „მარჯანი 5“-ს დირექტორის იოსებ სამადაშვილის 2021 წლის 17 მარტის №10/2221076132-03 განცხადების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

გაიცეს მშენებლობის ნებართვა, შ.პ.ს „მარჯანი 5“-ზე (საიდენტიფიკაციო ნომერი: 200158051), ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითში, აღნიშნული საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 32.12.33.564), სოფელ ქვედა საქარაში, შ.პ.ს „მეტალაინი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204577305) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 32.03.47.889), ფიზიკური პირის შურადი ფერაძის (პირადი ნომერი: 18001020883) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 32.03.47.322) და სოფელ პირველ სვირში ნიკა კიკნაველიძის (პირადი ნომერი: 18001032176) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 32.03.50.043) წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, IV კლასის შენობა-ნაგებობების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემის ხაზის საყრდენი ანძებისა და 110 კოლოვოლტიანი-მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ტრასის) მშენებლობისათვის და ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს 12 (თორმეტი) თვე.

2. მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგის სამუშაოები იყოფა შემდეგ ეტაპებად:

- ა) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;
- ბ) შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები;
- გ) შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
- დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;
- ე) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
- ვ) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;

**ზესტაფონი, ნერათლის ქ.№11, ტელ: (492) 252626, 252766**  
**ZESTAFONI.MUNICIPALITY@GMAIL.COM**

ზ) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

3. მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამშენებლო/სანებართვო პირობები:

ა) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტაციის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი;

ბ) აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე;

დ) აწარმოოს მშენებლობა ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

ე) შეადგინოს მშენებლობის (ზედაშედეგობის) ეტაპის დასრულების ოქმი;

ვ) უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების დასრულება;

ზ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე, გააცნოს მას სამშენებლო დოკუმენტაცია;

თ) საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება;

ი) დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

4. სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევისას, მშენებლობის ნებართვის მფლობელს დაეკისრება, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობისთანავე.

6. ეს ბრძანება, შეიძლება გასაჩივრდეს, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. 7), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი გოგლიჩიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია ევალუაციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი







**ს ა ძ რ თ ვ ე ლ ო**  
**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია**  
**G E O R G I A**  
**ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL**



ბრძანება:ბ22.22210705  
 თარიღი:11/03/2021

**მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი ანძების მშენებლობისათვის  
 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითში (კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე)  
 შ.პ.ს „მარჯანი 5“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის  
 სოფელ ქვედა საქარაში შ.პ.ს „მეტალაინი“-სა და მურადი ფერაძის  
 საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აგრეთვე სოფელ პირველ სვირში  
 ნიკა კიკნაველიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის  
 სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ და „ე-თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 67-ე მუხლის, მე-100 მუხლის, 101-ე მუხლის 1 ნაწილის „ა“ პუნქტის, 103 მუხლის 1 ნაწილის, 104-ე მუხლის 1 ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად და შ.პ.ს „მარჯანი 5“-ს დირექტორის იოსებ სამადაშვილის 2021 წლის 19 თებერვლის №10/2221050169-03 განცხადების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :**

1. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი ანძების მშენებლობისათვის, დამტკიცებული იქნეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითში (კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე), შ.პ.ს „მარჯანი 5“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 200158051) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 32.12.33.564), სოფელ ქვედა საქარაში შ.პ.ს „მეტალაინი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204577305) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 32.03.47.889), ფიზიკური პირის მურადი ფერაძის (პირადი ნომერი: 18001020883) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 32.03.47.322) და სოფელ პირველ სვირში ნიკა კიკნაველიძის (პირადი ნომერი: 18001032176) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 32.03.50.043) სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ზესტაფონი, ნარიტლის ქ.№11, ტელ: (492) 252626, 252766  
 ZESTAFONI.MUNICIPALITY@GMAIL.COM



იება ძალაში შევიდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობისთანავე.

ბრძანება, შეიძლება გასაჩივრდეს, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. 7), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი გოგლინიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიკური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



დანართი 5. ნებართვა(ტექ. პირობა) ქსელში ჩართვაზე

**სსს** საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ/ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

4689-06-2-201910210929

21/10/2019

№ 4689/06

მშპ „მეტალაინი“-ს დირექტორს  
ბატონ ზესიკ მაღლაკელიძეს

ასლი: მშპ „მარჯანი-5“-ის დირექტორს  
ბატონ ი. სამადაშვილს

ტექნიკური პირობების  
შეთანხმების შესახებ

ბატონო ზესიკ,

თქვენს მიერ წარმოდგენილი, 24.09.19წ. #18/06-19 ქ/ს „მეტალაინი 110“-ის 110კვ ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობიდან მშპ „მარჯანი-5“-ის გარე ელექტრომომარაგების (110გვტ) ტექნიკური პირობების მიმართ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს როგორც რეგულაციის ტექნიკური და აღრიცხვის კუთხით შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,  
უზა უჩანეიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეგულირების მმართველი

www.gse.com.ge

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა  
"GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM" JSC

## კომისიური აქტი

კომისიური ვიზიტი: 28.04.2022წ.

კომისიური აქტის გაფორმება: ქ. თბილისი, 4 მაისი 2022წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შ.პ.ს „მეტალლაინზე“ 2014 წლის წერილი N3315/06-ით გაცემული ტექნიკური პირობების, 2019 წელს წერილი N4689/06-ით შ.პ.ს „მეტალლაინი“-ს ქვესადგურში შ.პ.ს „მარჯანი-5“-ის მიერთებასთან დაკავშირებით შეთანხმებული ნებართვის და 2022 წლის 566/06 წერილით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად 2022 წლის 19 აპრილის წერილი N2533-ით მოთხოვნილი კომისიური ვიზიტის საფუძველზე „სსე“-ს N29 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

1. იური თაბუკაშვილი - იმერეთის რეგიონალური ქსელის მთავარი ინჟინერი - კომისიის თავმჯდომარე;
2. დავით გელაშვილი - ახალი მომხმარებლების ქსელთან მიერთების სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. ლალი ჯანჯღაგა - ტექნიკური უსაფრთხოების და ინსპექციის, სამსახურის უსაფრთხოების რეგიონული უფროსი ინჟინერი - კომისიის წევრი;
4. გოჩა გელაშვილი - დასავლეთის ქსელის ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლუატაციის უფროსი ინჟინერი - კომისიის წევრი;
5. სერგი ცერცვაძე - დასავლეთის სარეგულაციის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
6. დიმიტრი კიკნაძე - აღრიცხვის კვანძების აუდიტორი (აღრიცხვის კვანძების აუდიტის სამსახური) კომისიის წევრი;
7. პაატა თხელიძე - კომერციის და ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის, აღრიცხვის წრედების ტექნიკური მომსახურების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
8. კიაზო გარგულია - კომერციის და ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის, აღრიცხვის წრედების ტექნიკური მომსახურების განყოფილების ინჟინერი - კომისიის წევრი;
9. დავით რუსიშვილი - რეგულაციის და ავტომატიკის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
10. გიორგი გრიგალაშვილი - აღმოსავლეთის განყოფილების გაზომვების უფროსი ინჟინერი - კომისიის წევრი.;
11. დავით ქაჯაია - ექსპლუატაციის დეპარტამენტი, ქვესადგურების ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.

კომისიამ 2022 წლის 28 აპრილს ადგილზე გასვლით და დოკუმენტური შემოწმებით შეისწავლა განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობა მიერთების ტექნიკური პირობითა და პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი:

1. საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძში დამონტაჟებული 110 კვ დენის ტრ-ების მეორადი გრაგნილის სიმძლავრე პროექტით გათვალისწინებულია 15 ვა, ფირნიშზე მოცემულია 10 ვა, ხოლო ფაქტობრივი დატვირთვა 8,8 ვა;
2. საკონტროლო აღრიცხვის კვანძში დამონტაჟებული 110 კვ დენის ტრ-ების მეორადი გრაგნილის სიმძლავრე პროექტით გათვალისწინებულია 15 ვა, ფირნიშზე მოცემულია 10 ვა, ხოლო ფაქტობრივი დატვირთვა 9,2 ვა;



3. საკონტროლო აღრიცხვის კვანძში დამონტაჟებული 110 კვ ძაბვის ტრ-ების მეორადი გრაგნილის სიმძლავრე პროექტით გათვალისწინებულია 20 ვა, ფირნიშზე მოცემულია 100 ვა, ხოლო ფაქტობრივი დატვირთვა 10,2 ვა;

იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ფაქტობრივი მონაცემები მისაღება შეუძლებელია განხორციელდეს ქსელთან მიერთება, ხოლო საკონტროლო აღრიცხვის კვანძის საპროექტო და ადგილზე შესაბამისი მოწყობა დასაკორექტირებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას სხვა შენიშვნები არ გააჩნია ქსელზე მიერთების შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ შ.პ.ს „მარჯანი-5“-ის კუთვნილი ობიექტი (უჯრედები, ქვესადგურები და მათი დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი) მზად არის ქსელთან მისაერთებლად.


წინამდებარე აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:



დანართი 6. პერსონალის სწავლება

## სწავლების აღრიცხვის უწყისი

კომპანიის/დაწესებულების დასახელება:	შ.პ.ს. „მარჯანი-5“
სწავლების ჩატარების ადგილი:	ქ. ზესტაფონი, ვაჟის მოედანზე სახლი
სწავლების თარიღი და დრო:	18.04.2023
ხელმძღვანელის სახელი, გვარი და ხელმოწერა	ოსებ სამადაშვილი
სწავლების განმახორციელებელი პირის სახელი, გვარი და ხელმოწერა:	ლაშა ფერაძე 




### სწავლების თემატიკა:

ელექტრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საბუთოები, დასაქმებულს უფლება აქვს იმუშაოს ელ. მოწყობილობებთან და ელექტროობასთან რომლებსაც აქვს შესაბამისი ქვალიფიკაცია და სერტიფიკატი თავის თანრიგობის მიხედვით. ყველა ელექტრო ძაბვის მქონე მოწყობილობა უნდა იყოს გათვლილი საბუთო პროცესის დაწყების წინ. საშიში ძაბვის არსებობის შემთხვევაში გამოიყენეთ დამიწების მქონე ხელსაწყოები, გამოიყენეთ ორმაგი იზოლაციის სახის ხელსაწყოები, ელექტრო მოწყობილობების პერიოდული შემოწმება, დიელექტრიკული ინდივიდუალური საშვალეების გამოყენება, ხელთათმანი, ბოტები და სხვა, მაიზოლირებული ხელსაწყოების და აღჭურვილობის გამოყენება, საბუთო სივრცის მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს ელ. ხელსაწყოების გამოყენების პირობებს, საბუთოები ელექტროობასთან უნდა განხორციელდეს გამორთულ მდგომარეობაში, ლოკალური დამიწება ელ. მოწყობილობებზე, ინსტრუმენტებზე, დანადგარებზე, და ნიშნის განთავსება. ელექტრიკოს საბუთის ქონა თან საბუთო სივრცეში.

1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელების დაცვის წესები.  
 1000 ვ მაღალი ძაბვის ელექტრო ქსელებად ჩაითვლება ქვესადგურები, გამანაწილებელი მოწყობილობები, დენსადენები საპაერო ელექტრო გადამცემი ხაზები და სხვა. ელექტრო ქსელების დაცვას ახორციელებენ შესაბამისი ორგანიზაციები. შესაბამისად ამ ტიპის მომსახურებას ჭირდება ელექტრიკოსის სერტიფიკატი/დიპლომი რომელიც იქნება მაღალი თანრიგის, რომლებსაც უფლება ექნებათ იმუშაო მაღალ ძაბვასთან.

აუცილებელია იცოდეს:  
 კონსტრუქციების ელ. სქემების ელ. დანადგარების ნებისმიერი სიმძლავრისა და ძაბვის ელექტრო ხელსაწყოების სიზუსტის შემოწმების წესები, ელექტრონული სისტემის ხელსაწყოებისა და რთული რელებების მოწყობილობა და კონსტრუქცია, ელექტრო დანადგარები, ელ. აპარატების ელ. ხელსაწყოების კომპლექსური გამოცდის მომსახურება და მეთოდები; ელ. სქემებისა და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის წესები ქსელში ელ. მოწყობილობაზე; გამანაწილებელ მოწყობილობათა პირველადი და მეორადი ელ. სქემები; უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

საწარმოს ენერგეტიკებმა ელექტრიკოსებმა გაიარეს გაეცნენ ინსტრუქტაჟებს: ინსტრუქტაჟი N 4, N 21, N 23, N 24, N 32, N 29. და დააფიქსირეს ხელმოწერა ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში.

No	მსმენელის სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1.	სუხბ გოციხიძე	ენერგეტიკი	
2.	ქობა ვახტანგ	ენერგეტიკი	
3.	პუხეჯი მოსესხანაძე	ენერგეტიკი	
4.			
5.			
6.			
7.			
8.			
9.			
10.			



